

## **§ 1. გასაუბრების მიზანი**

K1. გასაუბრების მიზანია თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელთა შერჩევა;

1. გასაუბრების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

## **§ 2. კომისიის შემადგენლობა**

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის წევრები;

## **§ 3. კომისიის მუშაობა**

1. კომისიის მუშაობა მიმდინარეობს სექციებად შესაბამისი ენის სპეციალისტების (კომისიის წევრები)/სპეციალისტი (კომისიის წევრი), კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის შემადგენლობით;

## **§ 4. კანდიდატის შეფასება**

1. კანდიდატის შეფასება ხორციელდება საკვალიფიკაციო მონაცემების გათვალისწინებით გასაუბრების (ზეპირი ინტერვიუ) საფუძველზე. კომისია გასაუბრების გზით ადგენს კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას;

2. კანდიდატის შეფასება ენის სპეციფიკის გათვალისწინებით ხორციელდება შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით (დანართი 2.1, დანართი 2.2, დანართი 2.3);

## **§ 5. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. გასაუბრების შემდეგ კომისია \_ შესაბამისი ენის სპეციალისტები (კომისიის წევრები)/სპეციალისტი (კომისიის წევრი), კომისიის თავმჯდომარე და მდივანი იმსჯელებს და გამოიტანს გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია ხელმძღვანელობს კანდიდატის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებით;

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ აქტს, რომლის საფუძველზე შერჩეულ მასწავლებლებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები;

## **§ 6. დავების გადაწყვეტა**

1. გასაუბრების შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.





